№ 215
ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 215
ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართველ ქალთა
## სამკერვალო
18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.
იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენნი თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.
ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები
ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძითა და ნაჭრობით.
(50—6.—30) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის დიღმის სარდაფებში
## გასასყიდია 7,000 ვედრო
საფერავისა ღვინოებისა.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოურავს ი. ფ. გუნცაძეს სოფ. დიღომში.
(5—184—5)

ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, თავად-აზნაურთა თეატრში დაიწყებს წარმოდგენების გამართვას დრამატიული დასი პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების არტისტის
## მ. ვ. დალსკისა

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ჟ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
**საღამოობით:**
**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.
**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.
Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა
**დილით:**
**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.
**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.
**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.
**საღამოთი:**
**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ნაფიცი ვექილი
თავ. მიხეილ ნიკოლოზის ძე
## ვეზიროვი
გადავიდა სემიონოვის ქუჩაზედ (კუკიაში), სახლი № 7. (2—198—1)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში მომავალ 1901 წლის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისათვის პროგრამის შესამუშავებლად ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტმა თვისის მხრით წარმომადგენლებად დანიშნა ი. ა. თაიროვი, ი. ა. შადინოვი და გ. გ. ადელხანოვი.

*** ორშაბათს, 2 ოქტომბერს, ქალაქის საბჭო შეუდგა ქალაქის გამგეობის 1896 და 1897 წლების მოქმედების შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვას. საბჭომ სულ ორი-სამის მუხლის განხილვა მოასწრო და რადგანაც შემდეგ საკმაო რიცხვი ხმოსანთა არ აღმოჩნდა, კრება გადაიდო.

*** გუშინ, 3 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნული იყო განსახილველად საქმე სოფიო არაფელოვისა და მასწავლებლის ს. წერეთლისა, რომელიც ქ-ნს არაფელოვს უჩივის ცილი დაწამება და ქურდობა დამაბრალაო. ოლქის სასამართლომ საქმე 17 ოქტომბრისათვის გადასდო. საქმის გადადება იმან გამოიწვია, რომ როგორც არაფელოვის ვექილმა ბ-ნ ტურკევიჩმა განაცხადა, წერეთლის მიერ აღძრული პირველი საჩივარი პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან ჯერ არ დაბოლოვებულა და ამიტომ ვიდრე ის იქმნება განხილული, ეს მეორე საქმე შეჩერებულ უნდა იქმნასო. წერეთლის ვექილმა ბ-ნმა გძელიშვილმა განაცხადა, რომ ის საქმე უკვე მოსპობილიაო. ოლქის სასამართლომ ორის კვირის ვადა მისცა გძელიშვილს, რომ მოწმობა წარმოუდგინოს საქმის მოსპობის შესახებ.

*** სამშაბათს, 3 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნის აზ. ლაზარე ტიგრანოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან 18 ივნისს 1898 წელს საბჭოს სხდომის დროს შეურაცხება მიაყენა ქალაქის მოურავს გ. ევანგულოვს ამ სიტყვებით: „მე იმდენად პატივის-მცემელი ვორ თქვენი, რომ თქვენის თავმჯდომა-

## ფელეტონი

### მოთხრობა
მ. გორკისა
(დასასრული *)

„ვიცხოვრეთ ერთად წელიწადზედ მეტი, მაგრამ კიდევ არ მომეშვა უბედურება. ჭორებმა, ხალხის ბოროტებამ და ოჯახის მდგომარეობამ მისდა უნებურად იძულებულ ჰყვეს იგი ცოლი შეერთო. ლოთობა დაიწყო, ეგონა ამითი თავს შემაძულებდა; დამიწყო უმიზეზოდ ლანძღვა-გინება; სწყევლიდა თავისს სიცოცხლესაც და მეც. ხანდახან ბავშვივით სტიროდა და ბოლოს წინადადება მომცა ორივეს თავი მოგვეკლა, რა მომდიოდა მაშინ! ვანუგეშებდი, მაგრამ ყურს არ უგდებდა ჩემ ნუგეშს. თავისის ლოთობით და კვნესით ხშირად მატირებდა და მტანჯავდა. პირველად ვთხოვდი, რომ ცოლი არ შეერთო, მაგრამ რაკი შევურიგდი იმ ფიქრს, რომ ის ცოლს ირთავს და უთუოდ უნდა შეირთოს თავისის ოჯახის გულისთვის, რათა თავისს მწუხარებას ნილაბი ჩამოაფაროს, მეც ვურჩიე ცოლის შერთვა; მით უფრო, რომ მისი საცოლე კარგი ქალი იყო და, ჩემის ფიქრით, კარგი ცოლიც იქნებოდა; ჩემს მაგიერობას გაუწევდა და ბედნიერებას მიანიჭებდა. ქალმა იცოდა, რომ მისი საქმრო ჩემთან სცხოვრობდა და ფულით მართმევდა იმისს თავს. არ ვიყავი ბოროტი ადამიანი; ის ჩემთვის იმდენად საყვარელი იყო, რომ ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ კი ბედნიერი ყოფილიყო. ამიტომ არაფერში არ ვუშლიდი ხელს, თუმც ხმა-კი გაავრცელეს, რომ ვითომც მინდოდა იმათის ქორწინებისთვის ხელი შემეშალა. ხელი არ შევუშალე ქორწინებას, მაგრამ თვალები-კი ცრემლით ამოვილპე.

„მალე გადავედი ახალს ბინაზედ, რომ წარსული არაფერს მოეგონებინა ჩემთვის. ქორწილის წინა დღეს მოვიდა ჩემთან გამოსათხოვებლად; ეს იყო 1897 წლის 27 ენკენისთვეს. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება... ვფიქრობდი, რომ ან მე და ან ის ჰკუიდგან შევიშლებით-მეთქი: არასოდეს არ მინახავს მე ის იმნაირ მდგომარეობაში. რაღაც სიგიჟე ეტყობოდა მას. მკოცნიდა, მლანძღავდა და სცდილობდა ჩემს ხვევნაში ყოფილიყო სულ. მაგრამ ამ სოფლად ყველაფერი წარმავალია: ესეც მალე გათავდა. წავიდა. არ მიტირია: ტირილი აღარ შემეძლო. მხოლოდ ორი ჭიქა არაყი დავლიე, რომ ჩემი მწუხარება დამერჩო. მთვრალი არ ვიყავი, მაგრამ რა მომდიოდა, არ ვიცოდი და ვერც ეხლა ავხსნი. როგორც იყო ღამემ გაიარა. ვიცოდი სად და როდის უნდა ყოფილიყო ქორწილი, მაგრამ არ წავედი, რომ უცებ გაბრაზებულს არა ჩამედინარა. ტანჯვის დღემაც გაიარა; საღამოს წავედი ჩემ ნაცნობებთან, რომ ცოტა გავრთობილიყავ; დავსხედით, ვილაპარაკეთ და ბოლოს იმათ ჩემ ბინამდე გამომაცილეს. ჩემი მდგომარეობა მათ ძალიან აწუხებდა; ვიდრე ჩემ ბინამდე მივიდოდით, წინ შემოგვხვდა იგი თავისის ახალგაზდა ცოლით. უცებ დავიყვირე და ცოცხალ-მკვდარი დავეცი ძირს...

„ამის შემდეგ სამი თვე ლოგინში გავატარე ავადმყოფმა. როცა გამოვბრუნდი, ხალხს ვერიდებოდი როგორღაც; ყველაზედ უფრო იმის შეხვედრისა მეშინოდა. ჩემს თავს სრულიად აღარ ვაქცევდი ყურადღებას. წინად ვცდილობდი შემეძინა რამე; ეხლა რაც რამ გამაჩნდა, სხვებს ვურიგებდი. თუმცა წინადაც გულკეთილი ვიყავი და ხალხს ვშველოდი, მაგრამ ეხლა, თითქო სიკვდილის წინ, ხალხს ვურიგებდი რაც რამა მქონდა. ერთის სიტყვით, თითონაც არ ვიცოდი რას ვჩადიოდი. ღვიძლის ავადმყოფობამ ჩემზედ თავისი ჩვეულებრივი გავლენა იქონია. ძარღვები სრულიად ამეშალა და ყველაფერი გულს მიღრენდა. რაღაც მხიარულების სიგიჟე მომივლიდა და ამ სიგიჟეში შემეძლო სრულიად დავღუპულიყავი, მაგრამ არ დავიღუპე; მხოლოდ ერთ ცუდად მოხეტიალეს ჩავუვარდი ხელში. იმან ისე ოსტატურად მოახერხა ჩემი ბადეში გახვევა, რომ ერთის თვის განმავლობაში ჩემის რიგიან ბინისა და მისის მოწყობილობის მაგივრად ცალიერი კედლები და ვალები დამრჩა; თითონ ის-კი სადღაც მიიმალა.

„ეს, რასაკვირველია, ჩემი ბრალია! არ უნდა ვნდობოდი! არ ვუჩივლე. ან რა საჭირო იყო ეს? სულ ერთი არ იყო, მექნებოდა რამე თუ არა? ვისთვის უნდა მეცხოვრა? რა აზრი ჰქონდა ჩემს ცხოვრებას? რწმენა ხალხისა აღარა მქონდა და ნუთუ შესაძლებელია ადამიანისათვის ცხოვრება. თუ ხალხის რწმენა აღარა აქვს? არა! ამიტომ სიცოცხლის მოსპობის სურვილი დიდი ხანი მდევნიდა. დატანჯულს ბავშვობის დროს ალერსი არ მინახავს; დაჩაგრულს პატარაობიდგანვე სიყვარულიც გულში უნდა მომეკლა და არც მომავალში მქონდა რისიმე იმედი!

ახლა სიღარიბე? უსიამოვნობა? დამცირება? სადამდე შეუძლიან ადამიანის მიყვანა ყოველსავე ამას? თუ ეს ძნელია საერთოდ ადამიანისათვის, მით უმეტეს ძნელი უნდა იყოს ქალისათვის! შეიძლება უხასიათოც ვიყო და ან-კი შეიძლება ადამიანს ხასიათი შერჩეს ამგვარს ცხოვრებაში? განა ბევრი ვიცხოვრე პირადად ჩემთვის?!. არა, ჩემ ცხოვრებაში ერთი ჩემთვის სასიამოვნო წუთიც არ გამიტარებია! მუდამ მეშინოდ

*) იხ. „ივერია“ № 214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობით შემდგარს სხდომაზედ დასწრება საძრახისად მიმაჩნიაო". პირველად ეს საქმე განიხილა ოლქ ს სასამართლომ, რომელმაც ხმოსანს ტიგრანოვს ორის თვით ციხეში დაპატიმრება გარდაუწყვიტა. სამოსამართლო პალატაში 3 ოქტომბერს მან განაცხადა, რომ ჩემ მიერ ნათქვამი სიტყვები მეც შემდეგ სანანურად მქონდა, ხოლო თუ მე ის წარმოვთქვი, იმიტომ-რომ თვით ევანგულოვის საქციელმა გამომიწვიაო, და ითხოვა სასჯელის შემცირე. პალატამ, ორის თვის მაგივრად ორის კვირით ციხეში დაპატიმრება გარდაუწყვიტა.

⁂ სამშაბათს, 3 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე აზნაურის ივანე ავეტას ძე ბაბუროვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან ორჯელ განიზრახა თავისის მეუღლის ზაქარია გოლაშკილის ასულის მარიამ ბაბუროვის მოკვლა. პირველად ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ 4 აგვისტოს ამა წლისას და ივანე ბაბუროვს გარდაუწყვიტა ყოველისავე პირადის თუ წოდებრივად მოპოვებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 10 წლით ტობოლის გუბერნიაში გადასახლება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ 3 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დრაგვატანგა ავიცბას კაცის მკვლელობისათვის გარდაწყვეტილი ჰქონდა 11 წლის ვადით კატორგაში გაგზავნა.

⁂ სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს მომავალს წელს სამხედრო უწყების მოხელეთა და აგრეთვე მათს შვილებს აღსაზრდელად 600,000 მან. შემწეობა აღმოუჩინოს. ამ ფულიდგან 100,000 მან. სამხედრო სამსახურის ქალების სტიპენდიებს მოჰხმარდება, რომელნიც დედათა ინსტიტუტში და იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა დედათა გიმნაზიებში სწავლობენ და ასი ათასი მანეთი ჯარის-კაცთ მიეცემათ ჯილდოდ.

⁂ 700,000 მანეთის მაგივრად, რომელიც 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვით იყო გამოთხოვილი მიწადმოქმედების სამინისტროს ფონდისათვის სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის სესხის გასაცემად, ხაზინას მხოლოდ 300,000 მანეთი გადაუდვია. ამ რიგად აღნიშნულს ფონდს ამ ჟამად 700,000 მან. ფული თურმე აქვს.

⁂ კვირას, 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება კენჭის-ყრა იმ ახალგაზდათათვის, რომელნიც ამ წელს უნდა ვაიყვანონ სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

⁂ ქართველ ისრაელთა ტფილისის მე-3 სინაგოგაში, თანახმად მათის თხოვნისა, ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს რაბინათ იაკობ ნავთილაშვილი დაუნიშნია.

⁂ გადამდებ სენით ავადმყოფთა ტფილისის საავადმყოფოსათვის მომავალ 1901 წელს 10,248 მან. გამოთხოვილი, 200 მანეთით მეტი, ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვით არის აღნიშნული.

⁂ დღემდის სოფლებში სახალხო კითხვათა გამართვის უფლება მხოლოდ მღვდლებს ეძლეოდა, როდესაც პასუხისმგებლობას იგინი კისრულობდნენ. ახლა ეს პირობები ბევრად შეუმსუბუქებია მთავრობას. როგორც გაზ. „სარატოვის ფურცელი" იუწყება, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორს უცნობებია საერო განათლების სამინისტროსათვის, რომ იგი სასარგებლოდ და თითქმის საჭიროდაცა სთვლის, რომ ეს უფლება მღვდლებთან ერთად მიეცეს სოფლის მასწავლებლებსაც, მაგრამ ისე-კი, რომ სახალხო კითხვა სარწმუნოებრივ-ზნეობრივს მოძღვრებას ხელს არ უშლიდესო.

⁂ რადგანაც ამ ჟამად სამთო სამრეწველოებში სახმარებელ ასაფეთქებელ ნივთიერებათა გამო უბედური შემთხვევა ხშირადა ხდება, სამთო უწყებას მიუწერია, რომ კერძო მთის მრეწველთაგან აღნიშნულ ნივთიერებათა შეძენასა, შენახვასა და ხმარებას სასტიკი ყურადღება მიექცეს.

⁂ 20 სექტემბერიდგან 5—6 დღის განმავლობაში დრანდის მონასტერს რუსეთის გუბერნიებიდგან 2—3 ათასი თაყვანის-მცემელი მოაწყდა. შიგნით ტაძარი და ორივე ეზო ხალხით იყო გაჭედილი. ამდენი მლოცავი ერთბაშად ჯერ დრანდის მონასტერს არსად სწვევია. მართალია ამ რამდენსამე დღეში სტუმრებისათვის 5 ათას მანეთამდე დახარჯა, მაგრამ ორი იმდენი თითონ შესძინეს. სექტემბერში აქეთ კარგი დარები დაიჭირა.

⁂ მთა საჯევახო. ჩვენში ეხლა გაცხარებული რთველი და ყანებში დღე და ღამ მუშათა მოძრაობაა. ღომები მორთველებულია და ეხლა სიმინდის ყანებსა ვჭრით. მოსავალი წელს შარშანდელზედ ნაკლებია ყველგან, რადგანაც ზაფხულის გვალვამ ყანებს ძალიან შეუშალა ხელი. ენკენისთვეში-კი თავი ისახელა უხვი წვიმებით, მაგრამ ეხლა, რთველის დროს, წვიმა ზარალის მეტს არაფერს სარგებლობას არ გვაძლევს. 23 და 26 სექტემბერს ისეთი დიდი ნავა-დვარი წვიმა იყო მთა საჯევახოს მიდამოებში, რომ ჯერ მსგავსი არავის ახსოვს. ზოგიერთ ადგილს სეტყვაც იყო.

⁂ რედაქციამ მიიღო „ჯეჯილის" მე X ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1) „ტოროლა ჩიტი", (ლექსი) ვასილ გუბელისა; 2) „ჩემი კატკატი" (ამბავი) ს. ბასიშვილისა; 3) „ჩინური საათი" (ფრანგულით) პეტრე მირიანიშვილისა; 4) „პატარა ექიმი" (გადმოღებული) კახ-იმერლისა; 5) „სულელი და ჭკვიანი" (არაკი) ი. ა—სა; 6) „ვანო და გულ ყვითელა" (თარგმანი) სონა ციციშვილისა; 7) „გლეხი და გველი" (იგავი) გ. ახალციხელისა; 8) „ივანე ნათლისმცემელი და მისი თავის მოკვეთა" გ. წყალტუბელისა; 9) „ძველი დედა" (ლექსი) დ. თომაშვილისა; 10) „გულცივი ადამიანი" (მოპასანიდან) მ. კლიმიაშვილისა; 11) „სურამის ციხე" (გადმოკეთებული) გ. წყალტუბელისა; 12) „პატარა მკითხველების წერილები"; 13) წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, ზმნა, ანაგრამა, უჯრების გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ძველი ზავაზი** (თელავის მაზრა). სიმინდის მოსავალი საუცხოვოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფასი მაინც მაღალია კოდი შვიდ-რვა აბაზად ფასობს. დიდ-ძალი სულადი გააქვთ ღვებს; ეს იმითი აიხსნება, რომ სულადი დაძვირდა. რთველი დაიწყო. ყურძნის მოსავალი საშუალოზედ ნაკლებია. იმ ხმამ, რომ საზოგადოდ საქართველოში ყურძნის მოსავალი წრეულს მცირეაო, ღვინის ფასი შესამჩნევად აიწია. შეშფოთებული ჩარჩები მოუსვენრად დარბიან სოფლად და არის უფრო მეტს გაჭირვებულ გლეხ-კაცს ჩალის ფასად გამოსტყუონ ხელიდგან ზოგს ყურძენი, ზოგს ტკბილი. მაინც ამ განშორებულ სოფელში ჩარჩ-ვაჭართ უფრო მეტი გამბედაობა ეტყობათ თავიანთ ვერაგული სურვილის შესასრულებლად. მგონი მამასახლისის მოვალეობად უნდა ჩაითვალოს ამ სოფლის შმაათა თავგასულობის აღკვეთა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მამასახლისს მეტად ბევრი დრო ეხარჯება ქრივოხრის მოვლა ნუკეშში და ამისათვის ადარ სცალიან. კვირას, 10 სექტემბერი, ჩვენთვის მეტად სასიხარულო დღე იყო. ამ დღეს ჩვენს სოფელს ეწვია თელავის ბლაღოჩინი მამა ხელაშვილი და თელავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. მამინაიშვილი, რომელთაც ერიდობა მოახდინეს და წინადადება მისცეს სოფელს, რომ სამრევლო სკოლა დაეარსებინათ. მამა ხელაშვილმა მეხაიურად განუმარტა ხალხს სწავლის შეძენის საჭიროება და სთხოვა მშვიდად მოეფიქრათ ეს საშვილიშვილო საქმე და ისე გარდაეწყვიტათ. ბ-ნმა მამინაიშვილმა, გარდა ამისა, აუხსნა ხალხს, როგორი ხასიათისაა ეს სამრევლო სკოლა და რა ხარჯს მოითხოვს მისი დაარსება სოფლისაგან. უსკოლობა იმდენად საგრძნობელი გახდა ჩვენი სოფლებისათვის, რომ მცირე ყოყმანის შემდეგ ხალხმა სურვილი განაცხადა სკოლის დაარსებაზედ და განაჩენიც დაადგინა. ამ რიგად, როგორც იყო, ძლივს გვეღირსა სკოლა, ძლივს ჩვენს სოფელშიც შემოაღწია განათლების პირველმა სხივმა!.. ამ საქმეში დიდი სიკეთე დასთესეს მამა ხელაშვილმა და ბ. მამინაიშვილმა. ახლა მხოლოდ იმასღა ვისურვებთ, რომ სოფლის ეს გარდაწყვეტილება მალე განხორციელებულიყოს.

მ—ლი

## შავქვაზედ.

სექტემბრის ოცში გიორგი და ბიჭია ნიორაძეების მოჯამაგირეები ს. აჭარადგან წავიდნენ (სად. ძირულასთანაა) შუქრუთში შავი-ქვის ჩამოსატანად, საიდგანაც რამდენიმე წვრილი მრეწველი წელს ურმით ზიდავს ძირულაზედ ქვას. ასულან თუ არა ს. სვერში მეურმეები, წინ ვიღაც ხუთი შეიარაღებული ვაჟბატონი დახვედრიათ და უბრძანებიათ: „თუ ბ. ა—ძის ქვა არ წამოგიღიათ, აქანა ცოცხალი ვეღარ გამოივლითო".

საცოდავს მეურმეებს შეჰშინებიათ, მაგრამ სხვის ქვას როგორ წამოიღებდნენ, როდესაც მათი მეზობელი ნიკოლოზ ნიორაძე იქიდგანვე ქვასა გზავნის ძირულაზედ და შინიდგანაც ისე ჰქონდათ დაბარებული, ნიკოლოზის ქვა წამოიღეთო. ესენიც ასე მოქცეულან. დაუდვიათ ნ. ნიორაძეს ქვა და წამოსულან. როცა ჩამოსულან ს. სვერში, იმ ადგილზედ ისევ ის რაინდები დახვედრიან და უბრძანებიათ: გვაჩვენეთ კვიტანციები, ვისი ქვა გაქვთო. მეურმეებს შეშინებიათ, მაგრამ რა გაეწყობოდა, უთქვამთ: აბაშიძის ქვა ვერ წამოვიღეთ, რადგანაც ნიორაძეების გართ ჩვენ თითონაო. მაშინ გამოურთმევიათ სახრეები ამ ვაჟბატონებს და იმდენი უცემიათ, რომ მთლად დაულურჯებიათ. თან თურმე ლანძღავდნენ: თქვენ ასეთებო, და თქვენ ისეთებო, სხვის ქვის წამოღება როგორ გაბედეთ, ვინ გგონიათ ჩვენ აქანა, ხომ გითხარით აბაშიძის ქვა წამოიღეთო? მაგრამ ყველა ამის შემდეგ მუშებს ხელი ვერ შეუბრუნებიათ და ან-კი რას იზამდა ორი უიარაღო ხუთ შეიარაღებულთან, თორემ, ეჭვი არ არის, უარესი უბედურება დატრიალდებოდა. აი როგორ ირჯებიან ზოგიერთი ვაჟბატონები ყოვლად-გამკლავ გამომვლელ მეურმეებთან.

ამისთანა ამბები ხდება, ბატონებო, იქ, სადაც უკვე მრეწველობასა და წარმოებას ფეხი მოუკიდნია და სხვებისა რა უნდა გაგვიკვირდეს. მერე ისიც ვისგანა ხდება და ვისთან? სამწუხაროდ, თავადისაგან გლეხთან...

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი: ს. შროშაში, იმ ადგილას, სადაც იძახოდნენ, რკინის მადანი აღმოუჩნდათ თაბაგრებსა და სამხარაძეებსა, შა-

---

რაღაცასი, მუდამ რაღაცას ველოდი და ამასთან არც არა იყო-რა სამუდამო, საუკუნო! სამუდამოს ვინ ეძებს, დროებითი სასიამოვნო მოგონება მ ინც დამრჩენოდა!.. არა, სიცოცხლე არა ღირს! ეს ხმა მესმის ჩემის გულის სიღრმიდგან, მაგრამ ჯერ კიდევ არა მაქვს გადაწყვეტილი. დიახ, ისევ ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებული დავრჩი სწორედ აღდგომის წინ. რა უნდა მექნა? ისეთს მდგომარეობაში დავრჩი, რომ ხსნა არსაიდგან სჩანდა. რასაკვირველია, უცებ მიმიწვიეს საროსკიპო სახლში, მაგრამ არ დავთანხმდი, პირ იქით, ორი ქალი კიდეც გამოვიყვანე იქიდგან ძალით! ცხადი როსკიპი არა ვარ, მაგრამ მაინც როსკიპი-კი ვარ და მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე ვალი გადამეხადა; მუშაობა აღარ შემეძლო, რადგან საკერავი მანქანა აღარა მქონდა. რა-კი ერთხელ ჩაიყურყუმალავებს ადამიანი ღრმა ტალახში, ამოსვლა ძნელი-ღა არის!

ამნაირს ცხოვრებაში სრული ერთი წელიწადი არ გამიტარებია; მხოლოდ ხან და-ხან ჩავარდებოდი ხოლმე ასეთს წუმპეში. შრომისათვის თავი მაინც არ დამინებებია; პირველი ნაშოვარი ფულით ისევ ავიღე საკერავი მანქანა, მაგრამ ჩემის შრომით ვეღარ შევძელი ვალების გადახდა; უფრო და უფრო ვეხვეოდი ვალების ბადეში. როსკიპობაში ბედი არ მიღიმოდა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ წლოვანებამ თავისი დაღი დამასვა; მეორე, იმიტომ-რომ სხვა როსკიპებსავით სრულიად არ მქონდა დაკარგული ნამუსი. ყველა მატყუებდა; ისეთებიც იყვნენ, რომელნიც პატივსა მცემდნენ, მაგრამ ამნაირნი უფრო ნაკლებად მხვდებოდნენ. თითოეული მათგანი სცდილობდა დედაკაცის დაცინვას და მასხარად აგდებას; თითოეული მათგანი მზად იყო შეურაცხ-ეყო და დაემცირებინა საწყალი დედაკაცი; ყველა მათგანი მზად იყო თავისის ქცევით დაეკარგვინებინა ჩემთვის უკანასკნელი რწმენა კარგისა. ყველა ამას ისინი ისე სჩადიან, ვითომ ჩვენ გვარიგებენ და გვშველიან. თვითონ ისინი გვყრიან უფრო ღრმა ტალახში და ვინ იქნება მათ შორის ისეთი, რომ წმინდის გულით ჩვენი შველა მოინდომოს, თუ არ იმიტომ, რომ სარგებლად გარდაგვახდევინოს ან სული, ან გული ან სხეული უბედურის დედაკაცისა?!. არა, ათასში ერთი თუ გამოვა ამნაირის გულის პატრონი; დანარჩენები-კი მარტო თავისის უზნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სცხოვრობენ; პირზე სიმშვენიერის ნიღაბს იფარებენ და, ერთს-კი არა, ათიათასს ქალწულს ქალს გადააგდებენ უფსკრულში. როცა შესაძლოა ქალის შველა, ისინი თითონ ჰრყვნიან საბრალოს.

„ამიტომ მე, რომელმაც ყოველივე ეს გამოვცადე და როსკიპობის სიბინძურემდე მივედი, არ ვამტყუნებ არც ერთს ქალს, თუ ის ამ გზას ადგია. ყველა ჩვენგანს არ შეუძლიან ბრძოლა გაჭირვებასა, შიმშილსა და სიღატაკესთან. ზოგი ითმენს ყველა ამას თავისის მშობლების გულისათვის, ზოგი თავისის თავის და ზოგი-კი თავისის საქმროსა და თაყვანის-მცემელთათვის. ქალს გაიტაცებენ, შეაცდენენ და ამ გატაცების შედეგისას-კი არა ჰფიქრობენ! ქალებიც იღუპებიან; სწყევლიან თავისს დამღუპველებს და სცდილობენ თავის დაცემის დავიწყებას ღვინით და სხვა-და-სხვა გვარ დროს გატარებით. აბა ყური დაუგდეთ იმათს სიცილს. ნუ თუ ეს სიცილი ცრემლებს არ გამოიწვევს თქვენს თვალებზედ? ზოგს მთელი დღე არა უჭამია-რა და საუზმის მოლოდინში თქვენ გართობთ მუსაიფით — ხან-და-ხან ჭკუიანის მუსაიფითაც. ყურს უგდებთ, გეინტერესებათ და იმას-კი თვალებიდგან ცრემლები ღაპა-ღუპით სცვივა: თურმე მშიერია!

არა გჯერათ, რადგან ისე რიგიანათ აცვია! ყოველივე ეს მე თითონ გამოვსცადე თქვენგან და ამიტომ არ შეგიძლიანთ არ დამეთანხმოთ.

ეს კიდევ ცოტაა: მოხვალ სახლში და ყველანი გაწუხებენ; ერთი დღე ისე არ გავა, რომ შეურაცხება არ მოგაყენონ და არ გაგლანძღონ. ძაღლზედ უფრო ცუდად გექცევიან, თუმცა იმათთვის არაფერსა ზოგავ და შენ თავს-კი ყველაფერში უარს ეუბნები. არა, არ შემეძლო ერთს წელიწადს ასეთი ცხოვრება! სულ ერთია! რაღა დამრჩენია სიღარიბის მეტი? ჩემი ჯანმრთელობაც წავიდა! ასე უაზროდ ცხოვრება აღარ შემიძლიან! ყველაფერი შემძულდა, ყოველივე მომბეზრდა! მეგობარი ქალი, ან კაცი არა მყავს; ისეთი არავინ გამოჩნდა ჩემ გარს მყოფთა შორის, რომ ხელი მოეშველებინა ჩემთვის არამც თუ საქმით, — რჩევა-დარიგებით მაინც. საჭირო მაშინ ვარ, როცა ბევრი მაქვს რამე და ან ვისმეს მოვწონვარ. მშველელი არავინ გამომიჩნდა და არავის ხელმა არ შემაჩერა სიკვდილისაგან. მეც ავდექი და თავი მოვიწამლე... ვინ იქნება თქვენგანი, რომ ან მე და ან ჩემგვარი ქალი განსაჯოს და გაამტყუნოს?.."

მოთხრობა დაწერილია უკეთ, ვიდრე საჭირო იყო. სამწუხაროდ, ეს გარემოება ამ მოთხრობის ღირსებას ამცირებს. ამნაირ საგნებზედ უფრო მოურიდებლად და მკვახედ უნდა დაიწეროს, ისე, რომ თითოეული სიტყვა, როგორც ლურსმანი, ისე ჩაესოს მკითხველს გულში ღრმად და მაგრად. ამ შემთხვევაში უფრო ძლიერ პასუხს მივიღებდით. ეს ცხადია, რომ ადამიანი მაშინ ჰყვირის უფრო მაღლა და გულ წრფელად, როდესაც სტკივა რამე! აბა ერთი

ვი-ქვა აღმოჩენილა. მაგრამ საქმე ამაშია: უპრიანიათ შავი-ქვის მსგავსი რაღაც შავი მიწა და არა ნამდვილი შავი-ქვა (არც ქვაა, არც მიწა, ისე ხრეშია ცოტა ჭრელი, ყვითელ მიწანარევი და შედარებით მსხვილი). ჩამოაქვთ ძირულაზე ეს ვითომდა ნამდვილი შავი ქვა და ადგილობრივ მრეწველებზედ ფუთს ექვს კაპეიკათ ჰყიდიან. ეს უკანასკნელნი ამ მიწას ნამდვილ შავ-ქვაში ურევენ და მის ფასათ ასაღებენ. ამ რიგად არც პირველნი და არც მეორენი არა ზარალობენ, მაგრამ ჩვენს შავ ქვას-კი სახელს უფუჭებენ და მსოფლიო ბაზარს უკარგავენ. მაგრამ სამწუხარო-კი უფრო ის არის, რომ ძირულის ზოგიერთი კაკარდოსანი ყველა ამ ბოროტ მოქმედებასა და სიყალბეს კარგად ჰხედავს და საჭიროდ არა სცნობს სიმართლისათვის ხმა აღიმაღლოს და სიყალბე გამოაჩინოს. ეჭვი არ არის, ეს მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ აღნიშნულს კაკარდოსნებს საზოგადო სარგებლობა ჯერ კიდევ შეგნებული არა აქვთ.

პარ-ნარი

# რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს რუსეთის ყველა დაშორებულს ქარხნებსა და სამთო სამრეწველოებში შემნახველ კასსების განყოფილებები დაარსოს.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში პროექტია შეტანილი, რომ მომავალს წელს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იქმნეს გამართული.

— საერო განათლების სამინისტროში ამ წლის დამლევს განიხილვენ იმ კითხვას, რომ რეალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი უნივერსიტეტის სამათემათიკო და საბუნების-მეტყველო ფაკულტეტზედ მიიღონ ხოლმე.

— რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა სატარიფო კრება 5 ოქტომბრისათვის არის მიწვეული პეტერბურგში.

— რომ უფრო გამოცდილი მსახურნი იყოლიოს, რკინის გზების მთავრობას გარდაუწყვეტია საუკეთესო და ერთგულს რკინის გზის მოსამსახურეს ყოველ სამ წელიწადში 5% ან-და 5 წელიწადში ერთხელ 10% მოუმატონ ჯამაგირები. მთავრობას თურმე განზრახვა აქვს ეს უფლება ჯამაგირების მომატებისა საკანონმდებლო წესით ჰქონს უზრუნველი.

— სახალხო სკოლების მასწავლებელ კაცთა და ქალთა საპენსიო კასსა მომავალის წლის 1-ლ იანვრიდგან დაიწყებს მოქმედებასა. ამ ჟამად იმის განხილვაში არიან, თუ კასსაში მონაწილეობის მიმღებნი რამდენს იღებენ ჯამაგირს და რანაირად მოეწყობა უკედ და რა საშუალებანი უნდა იღონონ, რომ ჯამაგირიდგან ფულის გამორიცხვით მონაწილენი არ იქმნენ შევიწროვებულნი.

— სენატმა კვლავ დაადგინა, რომ ობოლთა სასამართლოში სამსახური საკადებულო წოდებრივ სამსახურთა რიცხვს ეკუთვნისო.

— იმ კომისიის წევრებად, რომელიც შედგენილ იქმნა პეტერბურგის უნივერსიტეტთან და რომელსაც, საერო განათლების სამინისტროს წინადადების თანახმად, მინდობილი აქვს განიხილოს 1884 წ. უნივერსიტეტის წესდების მე-106 §-ი, დანიშნულ იქმნენ: პროფესორები: ისტორიკო-ფილოლოგიურ ფაკულტეტიდგან თ. თ. სოკოლოვი, იურიდიულიდგან — ი. ა. ივანოვსკი, ფიზიკო მათემატიკურიდგან — დ. პ. კონოვალოვი და აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტიდგან ა. ა. ცაგარელი.

# უცხოეთი

ჩინეთი. ევროპაში ყველაზედ მეტ ყურადღებას ამ ბოლოს დროს ჩინეთის იმპერატორის ის განკარგულება იქცევს, რომლითაც ნაბრძანებია ახალის სასახლის აგება სი-ნანფუში. იმპერატორის ამ ახალმა განკარგულებამ ძალიან ბევრნი დააფიქრა. ამ ბოლოს დროს იმედი-კი ჰქონდათ, რომ იმპერატორი პეკინში დაბრუნდებაო, მაგრამ ის დაბრუნების ნაცვლად უფრო შორს და მიუდგომელ ადგილას აპირობს დაბინავებას. ზოგიერთი გაზეთი ამბობს, რომ ეს გარემოება ჩინეთის საქმის გადაწყვეტას ძალიან გააძნელებსო, ზოგი — იმპერატორის პეკინში გადასვლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება უიმისოდ-ც გადაწყდეს ყველაფერიო, ზოგი კიდევ უკეთესი იქმნება იმპერატორს სრულიადაც არ მიაქციონ ყურადღებაო. შანჰაის გაზეთი „Shanghai Mercury“ სწერს, მაგალითად: „რადგანაც იმპერატორი პეკინშა არ აპირობს დაბრუნებას და რადგანაც სინანფუში ჯარის გაგზავნა სიშორისა გამო თითქმის შეუძლებელია, უკეთესი იქმნება სახელმწიფოებმა ყურადღება არ მიაქციონ არც ახლანდელს იმპერატორს, არც იმპერატრიცას და წინადადება მისცენ ვიცე-კოროლებს ახალი იმპერატორი აარჩიონ. მოკავშირეებმა ამ ახალ იმპერატორს და იმის მთავრობას ყოველი შემწეობა და დახმარება უნდა აღმოუჩინონ“. გასაკვირველი არ იქნება, რომ სახელმწიფოებმა ეს სარჩევი შეიწყნარონ, მით უმეტეს, რომ აწინდელი დინასტია ჩინელებს არ უყვართ და, როგორც დღევანდელ დეპეშებიდგანა სჩანს, ამ ჟამად სამხრეთ ჩინეთში დიდი მოძრაობაა ამ დინასტიის გასადევნად.

— შანჰაელი კორესპონდენტი სწერს „Central News“-ს: „ჩინეთში მყოფ ელჩების აზრით, სამეფო გვარეულობის სი-ნანფუში გადასახლებას ერთად ერთი აზრი აქვს: იმპერატრიცას უნდა ამით დრო მოიგოს. ელჩები ეჭვობენ, რომ იმპერატორის ბრძანება პრინცის ტუანისა და სხვათა დასჯის შესახებ გულწრფელი იყოს. ჰფიქრობენ, რომ ჩინეთის მთავრობა უკვე შეუდგა იმ მოხელეთა გადაყენებას, რომელნიც უცხოქვეყნელთა მომხრენი არიან, და იმათ ადგილას მოკრივეთა მეგობრების დანიშნას. მთავრობა რამდენსამე თვეს მზადებას მოანდომებს და გაზაფხულზედ ახალის ძალითა და ღონით ბრძოლას გაუმართავს ევროპიელებს“. ჩინელები რომ მართლა ემზადებიან, ამას ყველა გაზეთის კორესპონდენტნი მოწმობენ. ისინი გულ-მოდგინეთ ამაგრებენ ციხე-გალავნებს, ამზადებენ თოფ-წამალს და სხვ.

ინგლისი. ბევრს ლაპარაკობენ ინგლისური გაზეთები იმ ცვლილების შესახებ, რომელიც ვითომ ინგლისის კაბინეტში უნდა მოხდეს. ამბობენ მაგალითად, რომ მინისტრ-პრეზიდენტი სალისბიური გარეშე საქმეთა მინისტრობას თავს გაანებებს და პორთფელს სხვას გადასცემსო. კონსერვატორთა უმცირესობის გარეშე მინისტრად ჩემბერლენი უნდა, მაგრამ უმრავლესობა წინააღმდეგია ამისა. ეს უკანასკნელნი ამბობენ, რომ ჩემბერლენი დაურიდებელი კაცია, თავაზიანი მოპყრობა არ იცის და გარეშე პოლიტიკაში კი ეს უმთავრესიაო. ამიტომ ჩემბერლენს უფრო ფინანსთა მინისტრობას უქადიან, ხოლო აწინდელ ფინანსთა მინისტრს გიკს-ბიჩს საზღვაო მინისტრობას უწინასწარმეტყველებენ.

## სასამართლოს მატიანე

(მარკოზა ივანეს ძის ლალიძის საქმე)

შაბათს, 30 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა, სხვათა შორის, განიხილა საქმე 62 წლის მოხუცის ქუთაისის მაზრას სოფელ ფარცხანაყანევის მცხოვრების გლეხის მარკოზა ივანეს ძის ლალაძისა, რომელსაც თვისის შვილის კ-მოთეს მოკვლა ჰბრალდებოდა.

1898 წლის 10 აგვისტოს მარკოზა ლალიძე შვილით წასულა ყანაში, ეკლესიის წოდებულ სამაჩაბლოში, სამუშაოდ; შინ დაუტოვებია კიმოთე, რათა მას დროზედ ყანაში სადილი წაეღო. ყანაში დანიშნულს დროს კიმოთეც მისულა და საღამომდის ერთად უმუშავნიათ. ღამე, როდესაც შვილებს დაუძინიათ, მარკოზას ამდგარა ზეზედ და მძინარე კიმოთესათვის რამდენჯერმე დაუკრავს თავში კეტი და იქვე მოუკლავს. ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს მარკოზას თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს, რომ განძრახ ეს საქმე არ ჩამიდენიაო, კიმოთემ ყანაში ხარები მორეკა, დადამებისას უდროვოდ ისევ უკან წაყვანას უპირებდა, მე ეს არა ვქენი, ჩხუბი მოგვივიდა; რომლის დროსაც ჯოხი დავკარი და უცაბედად შემომაკვდაო. გამოძიებას გამოურკვევია, რომ კიმოთე იმ ადგილზე ყოფილა მოკლული, სადაც დაწოლილა დასაძინებლად და ამასთანავე თავში რამდენჯერმე ჰქონია კეტი დაკრული. როგორც საქმის განხილვის დროს გამორკვეულა, მარკოზას და მის შვილს კიმოთეს ხშირად ერთმანეთში უკმაყოფილება ჰქონიათ იმის გამო, რომ შვილი არ უთმენდა მამას სხვა ქალის შინ მოყვანას და უკანონოდ, ჯვარდაუწერელად მასთან ცხოვრებას. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია მარკოზა ლალაძე და გადაუწყვეტია იმისთვის ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 15 წლით კატორღაში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა მ. ლალაძის სააპელაციო საჩივარი, დამნაშავედ იცნო ლალაძე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

—

თედოსია გრიგოლის ასულის ქორქაშვილის საქმე.

1899 წლის 18 ოქტომბერს, ქუთაისის მაზრის სოფელ წყალტუბოში ღამე თედოსია, იგივე მატრონა, გრიგოლის ასულის ქორქაშვილის კვიდს გამოუღვიძებია ამ სოფლის მცხოვრებნი ირაკლი და ნინო ქორქაშვილები, რომლებიც მ ცვივნულან კვილზე დ უნახავთ სახლში კარგი ხნის მკვდარი, სისხლში მოსვრილი ქმარი თედოსიასი ფარნაოზ ქორქაშვილი. გამოძიებას ეჭვი თედოსიაზე მიუტანია და სამართალში მიუცია. ოლქის სასამართლოში თედოსიას თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს რომ იმ ღამეს ყაჩაღები შემოგვიცვივდნენ, მე კარში გამოვარდი, ყაჩაღებმა კარები მიხურეს და ჩემი ქმარი კეტებით ჩაჰკლესო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია თედოსია ქორქაშვილისა და დაუდგენია, ჩამოერთვას მას ყოველივე უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს ციმბირის შორეულს ადგილებში დასასახლებლად. ტფილისის სამოსამრთლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა, შაბათს, 30 სექტემბერს, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო თედოსია ქორქაშვილისა და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ჩინეთში სარწმუნოება მეტად მოწყალე თვალით უყურებს პირუტყვებს. სასულიერო წოდების პირნი ხშირად განსაკუთრებულ ბრძანებასაც-კი გამოსცემენ ხოლმე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყრან ცხოველებს. ერთი ასეთი ბრძანება, რომელიც პეკინის ქუჩებში ყოფილა გაკრული, ერთ ამერიკულ გაზეთს მოჰყავს: „სასტიკად ა[...]

---

შეხედეთ, როგორ უყვარს ამ ქალს ბავშვები? ამასთან როგორი გულწრფელიცაა! ერთი თავისი ნათლული არა ჰყვარებია; შეეძლო იმის შესახებ არაფერი ეთქვა, მაგრამ მაინც პირდაპირ, გულწრფელად აღიარებს. გულწრფელობა გამოსჭვივის მთელს ამ მოთხრობაში. მაგრამ აქვე არის ერთი გარდამეტებული ადგილი. ამნაირ აგგილად მიმაჩნია ის სცენა, რომელიც აკადემიის სტუდენტთან მომხდარა ვითომ რევოლვერით. ჩემის აზრით, ასეთი არა ყოფილა-რა. უთუოდ ყველა ეს ქალმა მოიგონა და ეხლა-კი თითონაც დარწმუნებულა, რომ ვითომ ეს ასე მოხდა. ამ ქალის სიცრუე კარგი სიცრუეა. ცხონებულ ჩემ ამხანაგ საშა კონოვალოვს სწორედ ამნაირი სიცრუე ჰქონდა სახეში, როცა ამბობდა: „ხან და ხან სიცრუე სიმართლეზედ უფრო უკეთ გვაცნობს ადამიანსა“! ამ სიცრუის წყაროა მხოლოდ სურვილი და მისწრაფება რაიმე კეთილშობილურისა, ჭეშმარიტ ადამიანობისა და გმირულ მოქმედების მიმართ. ეს სურვილი და მისწრაფება შეადგენს ყოველი ადამიანის კუთვნილებას, ვინც უნდა იყოს იგი. ამგვარი რამ იშვიათია ჩვენის ცხოვრების დაწყევლილ ვითარებაში; ცხოვრება ნებას არ აძლევს ადამიანს საგმირო რამ მოიქმედოს. კარგი რამ უნდა მოიგონო, შესთხზა, რადგანაც ყველა რგოლები იმ ჯაჭვისა, რომლითაც შებოჭილნი ვართ, ერთნაირად გვამძიმებენ და მთელს სხეულს ღრმა იარამდე გვიღრღნიან. მარტო სხეულს რომ გვიღრღნიდნენ, ვინ იჩივლებდა!

დედა-კაცის ადამიანური სირცხვილიც ცოხლად შერჩენია ამ თავის თავით მოვაჭრე ქალს. როცა მოგვითხრობს თავისს მგზავრობას აფიცერთან ვაგონში, ამბობს: „ის იმდენად პატიოსანი იყო, რომ არ ის არგებლა ჩემის მდგომარეობითაო“.. „ჩვენ მიედიოდით ერთ კვირაზედ მეტიო“... ამბობს ის და სვამს წერტილებს.

უნდა მიხვდეთ, რომ ეს წერტილები სირცხვილის ცრემლებია. „ის იმდენად პატიოსანი იყო, რომ არ ისარგებლა ჩემის მდგომარეობით... მაგრამ მე ხომ ერთი კაპეიკიც არა მქონდა... შიმშილისაგან ვიტანჯებოდიო“... მამაკაცმა ვერ მოიფიქრა პური მიეწოდებინა მშიერისათვის და ცხადია, არც სირცხვილი და არც სინიდისი აღმოაჩნდა იმოდენი, რომ უარი ეთქვა იმისს სხეულისა, როგორც საქასურისაგან, რომელიც შეაძლია მშიერმა ქალმა. აქ ეს ქალი ჰყიდის თავს შიმშილისაგან, შემდეგ ჰვაჭრობს თავისის თავით საყვარლის ჟინის დასაკმაყოფილებლად... უეჭველია, ხან და ხან ტყუილა-უბრალოდაც ჰყიდდა თავს, ისე, სხვათა შორის... ხან და ხან ასეთი ვაჭრობა ყოჩაღობადაც მიაჩნდა, ხან და ხან კი ვისიმე ლამაზი სახე გაიტაცებდა ხოლმე. მაგრამ უფრო ხშირად — ნამდვილად ვიცი — ტალახში „ცხოვრების მოწყენისაგან“ვარდებოდა. ცხოვრების მოწყენა საშინელი ბნელი ძალაა, ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლიან ერთი შებერვით სამუდამოდ დაახინჯოს სუსტი ადამიანი. ამის გამო იწყებენ ხოლმე ლოთობას, იშლებიან ჰკუიდგან, ირყვნებიან და ხშირად კაცის მკვლელნიც ხდებიან. ამ მოწყენას ჩახახვა შეუძლიან ყოველ გვარ სულის სიღრმეში, იმიტომ რომ ეს მოწყენაა ადამიანის სულის ინსტიქტიური ნაღვლიანობა ყოველისავე კარგისა, ცხოვრების მშვენიერებისა და თავისუფლებისათვის... გაიგონეთ? როსკიპი გვკითხავს: განა ადამიანს შეუძლიან ურწმენოდ ცხოვრებაო? და პასუხს თითონვე იძლევა: არაო!.. შეიძლება, იმ დროს, როცა ეს კითხვა, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი გულს უწვავდა, რომელიმე ჩვენგანი ეხვევოდა თავისის მთვრალი ხელებით, ჰკოცნიდა თავისის დორბლიანი ტუჩებით და იმით გაჯავრებული, რომ ჩემს ალერსს ალერსითვე არ უგებს პასუხსაო, ეუბნებოდა: „რათა ხარ აგრე მოწყენილი? დაანებე თავი მოწყენას. გული მოიბრუნე, ერთ აბაზს კიდევ მოგიმატებო...

რისთვის ვლაპარაკობ ყოველსავე ამას? იმისთვის, რომ იგრძნოთ, როგორა ვსრესავთ ცოცხალ ადამიანებს, როგორ ვუსპობთ სიცოცხლეს ცოცხალს სულებს.

შეიძლება ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელნიც ზიზღით იტყვიან: „რისთვის ჰბეჭდავენ ამისთანა წერილებს? სისულელეა! ლიტერატურაში რა ადგილი აქვს როსკიპებსა და იმათს თავგადასავალსაო“?

სულელური და უსამართლო ეს სიტყვები იქმნება. ლიტერატურაში ყოველსავე ჭეშმარიტებას და სიმართლეს ადგილი აქვს. ჩვენდა სამწუხაროდ ლიტერატურაშიაც არიან როსკიპები თავისის თავგადასავლით. იმათი სახელები სუყველამ კარგად იცის და იმიტომ აქ არ გავიმეორებ. იმათი ბინა იმათ იციან, ვისაც ისინი თავს მიჰყიდიან ხოლმე. ლიტერატურაში ადგილი აქვს ყოველს ხმას, თუ ეს ხმა გულ-წრფელია. ლიტერატურა არის ტრიბუნა ყოველის ადამიანისათვის, რომელსაც მხურვალე სურვილი აქვს გააგებინოს ხალხს ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანის ტანჯვა-წვალება; შეატყობინოს ყველას, რომ ადამიანს პატივის ცემა უნდა, რომ ყველასათვის აუცილებლად საჭიროა თავისუფლება! თავისუფლება! თავისუფლება!

ს. რობაქიძე

კრძალულია ძროხის რძის ხმარება,—ნათქვამია ამ ბრძანებაში,—კაცს უფლება არა აქვს წაართვას პირუტყვს შვილების საკვები. განსაკუთრებით არ უნდა მოვექცეთ ასე ძროხას, რომელიც კაცისათვის ყველაზედ უფრო სასარგებლოა. კაცი ხომ არ იხმარს დედაკაცის რძეს და არ წაართმევს ბავშვს საკვებს; არც ნორჩს, პატარა ცხოველს უნდა წავართვათ საკვები. ის, ვინც კაცსა და ცხოველს თანასწორად არ ეპყრობა, ბოროტებას სჩადის და უსინდისოდ იქცევა. პირუტყვი ადამიანის უენო ძმაა, ამიტომ მათ ყველა პატივის ცემით უნდა მოექცეს“.

* * *

მოგეხსენებათ, დღეს ისეთი სახელმწიფო არ არის, განსაკუთრებით ევროპაში, რომელსაც დიდძალი ვალი არ ედოს. სახელმწიფო ვალი ყველას მძიმე ტვირთად აწევს და ბევრს ამ ვალის სარგებლის გასტუმრებაც უძნელდება. აქნამდე ყველაზედ ნაკლები ვალი ინგლისს ედო, ამას გარდა მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფონი წლით-წლობით ადიდებენ ვალს, ინგლისი აკლებდა და აცოტავებდა. მაგრამ სამხრეთ-აფრიკის ომმა ინგლისიც გაუთანასწორა სხვა სახელმწიფოებს. აი ინგლისის სახელმწიფოს ვალი ამ საუკუნეში:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1816 წელს | . . | 8,851,860,000 | მან. |
| 1880 „ | . . | 7,740,440,000 | „ |
| 1896 „ | . . | 6,484,740,000 | „ |

ვალების გასტუმრებაში ინგლისს უმთავრესად ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ შეუწყო ხელი და აგრეთვე იმან, რომ ეს სახელმწიფო სხვებზედ ნაკლებ მისდევდა დღემდე შეიარაღებასა და ჯარის გამრავლებას. მართალია, ინგლისმა დიდ-ძალი ფული დახარჯა ფლოტის გაძლიერებაზედ, მაგრამ ფლოტს ის პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, რომ იგი ვაჭრობა-მრეწველობას იცავდა და იმის განვითარებას უწყობდა ხელს, რაიცა ხმელეთის ჯარზედ არ ითქმის.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოთა ვალს, ეს ვალი საოცრად გაიზარდა ამ ბოლოს დროს. 1895 წელს ყველა სახელმწიფოს ვალი მთელს დედამიწაზედ ერთად 138 მილიარდ მარკას შეადგენდა, აქედგან მარტო ევროპის სახელმწიფოებისა იყო 106 მილიარდი. მართალია, ამ ვალში ის თანხებიცაა ჩათვლილი, რაც სახელმწიფოებმა მოანდომეს რკინის გზების გაყვანასა და გამოსყიდვას, არხების გათხრას, ტელეგრაფების გამართვას და სხვა ამ გვარ საქმეს, მაგრამ უმთავრესი ნაწილი ვალისა მაინც შეიარაღებასა და ომებს დასჭირდა.

ყველაზედ ნათლად ეს მაშინ გამოჩნდება, თუ ამ საუკუნის სხვა-და-სხვა ხანას ავიღებთ და აღვნიშნავთ, რამდენი იყო ვალი და რამდენი მიემატა.

1820 წ. ვალი იყო 30000 მილ. მარკა, მოემატა 740 მილ. მარკა; 1848 წ. ვალი იყო 34600 მილ. მარკა, მოემატა 200 მილ. მარკა; 1862 წ. ვალი იყო 55000 მილ. მარკა, მოემატა 1460 მილ. მარკა; 1872 წ. ვალი იყო 93000 მილ. მარკა, მოემატა 4280 მილ. მარკა; 1882 წ. ვალი იყო 107380 მილ. მარკა, მოემატა 1380 მილ. მარკა; 1895 წ. ვალი იყო 138000 მილ. მარკა, მოემატა 1675 მილ. მარკა.

აქედგან პირველი ნაპოლეონის ომების შედეგი იყო, მეორე—მშვიდობიანობის ხანა, მესამე—სამხედრო სამზადისის ხანა, მეოთხე—საფრანგეთ-პრუსიის ომი, მეხუთე—რუსეთ-ოსმალეთის ომი და მეექვსე „შეიარაღებულ მშვიდობიანობის“ ხანა.

* * *

ლუდის ქარხანათა სიმრავლით გერმანიას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება. იქ 1899 წელს 20,055 ლუდის ქარხანა იყო, სადაც 67,778,687 გეკტოლიტრა *) ლუდი გამოჰხადეს. გერმანიას შეერთებული შტატები მისდევს — 2,399 ქარხანა, 64, 783,940 გეკტ.; შემდეგ ინგლისი—6,891 ქარხანა, 61,156,166 გეკტ., ავსტრი-უნგრეთი—1,580 ქარხანა, 21,291,967 გეკტ., ბელგია—3,118 ქარხანა, 13,830,000 გეკტ., საფრანგეთი—2,546 ქარხ., 9,403,513 გეკტ., რუსეთი—1,035 ქარხ., 5,304,000 გეკტ., შვეიცარია—367 ქარხ., 2,118,123 გეკტ., შვეცია—540 ქარხ., 2,068,109 გეკტ., ჰოლანდია—389 ქარხ., 1,459,374 გეკტ., შემდეგ ერთმანეთს მისდევენ: ნორვეგია, ლიუქსენბურგი, იტალია, რუმინია, ესპანია, საბერძნეთი, ბოლგარია, სერბია, უკანასკნელი ადგილი ოსმალეთს უჭირავს. სულ-კი 1899 წელს 39,542 ქარხანა იყო და 252,281,218 გეკტოლიტრა ლუდი გამოჰხადეს.

*) გეკტოლიტრა რვა ვედრაა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ოქტომბერი

**პეკინი.** ორი ამერიკელი შტაბ-ოფიცერი თან მისდევენ იმ ექსპედიციას, რომელიც პაოტინფუში მიდის. დანარჩენებს გენერალმა ჩაფფიმ ნება არ მისცა მონაწილეობა მიიღონ ექსპედიციაში.

**გონკონგი.** 2000 ჯარის-კაცი გაგზავნილ იქმნა ბოგუეს სიმაგრიდგან სამშუიში, რათა ხელი შეუწყონ ამბოხების ჩაქრობას.

მეამბოხენი, რიცხვით 1000 კაცი, რომელთაც ჯეციანში მოიყარეს თავი, ხუჯოუში მიდიან.

**პეკინი.** ლიხუნგ-ჩანგმა განაცხადა, რომ იუნლუ რწმუნებულად არ იქმნება, რადგანაც სახელმწიფონი წინაალმდეგნი არიან.

პაოტინფუში გაგზავნილი ექსპედიცია ლუკოუკიაოში მივიდა.

**შანხაი.** კანტონის პროვინციაში აჯანყება დინასტიის წინაალმდეგ არის; კვანსის პროვინციაში—ადგილობრივ მოხელეთა წინაალმდეგ; არც ერთი ამბოხება არ მოქმედებს უცხო ქვეყნელთა წინაალმდეგ. ამბოხება ჯეციანშიაც უთუოდ მთავრობის წინაალმდეგ მოქმედებს. დინასტიის წინაალმდეგია აგრეთვე მოძრაობა იუნკაეში. მთელ ჩინეთში დიდი მოძრაობაა, რომელსაც აზრად მანჯურიის დინასტიის გადაყენება აქვს.

**შანხაი.** როგორც ისმის, ჩინეთის იმპერატორი და იმპერატრიცა პინიანში მივიდნენ, რომელიც ტაიუენფუს სამხრეთით 200 მილის მანძილზედ მდებარეობს.

**კანტონი** მანჯურიის მეამბოხეებმა კან-იუ-ვეისა ხვეიჯოუს მახლობლად დაამარცხეს კალოულშუნის ჯარი. იმპერატორის ჯარიდგან 60 კაცზედ მეტი იქმნა მოკლული, დანარჩენნი გაიქცნენ. მეამბოხეთ დაიჭირეს რამდენიმე ადგილი, მაგრამ ისინი არა სძარცვავენ და ანადგურებენ ტაძრებს და მისსიონერთა შენობებს. ამბობენ, რომ მეამბოხეთ აზრად მხოლოდ დინასტიის გადაყენება აქვთო. კამიშხტენში, კანტონის მახლობლა, უცხო-ქვეყნელთა სასაფლაოზედ იმპერატორის ჯარის-კაცებმა შემწიკვლეს საფლავები. ვიცე-კოროლის ტაქსუს ბრძანებით დამნაშავეებს თავები მოჰკვეთეს, ხოლო უფროსები დაითხოვეს.

**შანჰაი.** როგორც იმპერატორის ბრძანება იუწყება, სინანფუს გზაზედ იმპერატორის კუან-სუს მოკვლას თურმე ეცადნენ ბოროტ-განმზრახველნი. ბოროტ-განმზრახველნი მაშინვე შეიპყრეს და თავი მოჰკვეთეს.

**ტიან-ძინი.** ვალდერზეე ანგარიშს იძლევა თავისს სამხედრო მოქმედების შესახებ, რაც მთავარ-სარდლად იქმნა დანიშნული და სამხედრო მოქმედებათა შეყენებას იმითი ჰხსნის, რომ ბარგის გემების გადმოცლამა და ჯარების სხვა-და-სხვა უფროსთა შეუთანხმებელმა მოქმედებამ დამაბრკოლაო; ახლა საქმის გარემოება შესამჩნევად გამოკეთდა და აქტიური მოქმედება უკვე დაიწყო პაოტინფუში ექსპედიციის გაგზავნითაო. ვალდერზეეს აზრით, ჩინელთა უმოქმედობა მხოლოდ სამხედრო ეშმაკობაა, რომ ამითი თავიანთი ხელახლად თავდასხმის მზადება დაჰფარონ. ვალდერზეეს სიტყვებიდგანა და ახსნიდგან ის აზრი გამოჰყავთ, რომ ამ ჟამად იგი სცდილობს მხოლოდ ერთს, რომ მტერს მომავალში სამხედრო მოქმედების საშუალება მოუსპოს.

3 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა პრიამურის გენერალ-გუბერნატორსა და ჯარის უფროს გენერალს გროდეკოვს ოქროს ხმალი ბრილიანტის მორთულობით და ზედ წარწერით: „ჩრდილოეთ მანჯურიაში გამარჯვებათათვის 1900 წელს“.

**ადენი.** სულთანმა გერმანიას იჯარით მისცა კუნძული უროონი წითელ ზღვაზედ, რომელიც კუნძულის კომარინის ჩრდილოეთის 40 მილის მანძილზედ მდებარეობს. კუნძული 30 წლის ვადით არის მიცემული ნახშირის სადგურების გასამართავად.

**გონკონგი.** რაზმი, რომელიც 360 ინგლისელ ჯარის-კაცისაგან შესდგება და რომელსაც აქვს ერთი მაქსიმისა და შვიდ ფუტიანი ზარბაზნები, გაგზავნილ იქმნა შეიარაღებულ მეამბოხეთა წინაალმდეგ, სულ ერთია, ეს მეამბოხენი იმპერატორის ჯარის-კაცნი არიან, თუ არა,—რათა მათ ნება არ მისცეს ინგლისის ტერიტორიის საზღვარზედ გადასვლისა.

იმ დამარცხებულ მეამბოხეთა წინაალმდეგ, რომელნიც, რიცხვით 3000 კაცი, შეიკრიბნენ ინგლისის საზღვრის ჩრდილოეთით 30 მილის მანძილზედ, ადმირალის ხოს ჯარიდგან 1000 კაცი წავიდა, ხომ მოსაშველებლად 200 კაცი მოითხოვა კანტონიდგან ამბობენ, რომ ამოდენავე რაზმი კანტონიდგან მეამბოხეთ დაედევნაო, ხომ შეატყობინა კონგონგის გუბერნატორს, რომ აჯანყება უთუოდ დიდის მეცადინეობით არის მომზადებულიო; ძარცვა-გლეჯა არ იყო; მეამბოხენი განგებ არა სძარცვავენ სოფლელთ და უცხო-ქვეყნელთ; ამბოხება დიდ მანძილზედ ვრცელდება. გუან-დუნისა და გუან-სის პროვინციის მრავალ დიდ ქალაქებიდგან იუწყებიან ამბოხების შესახებ; აშკარაა, კან-იუ-ვეისა და სუაცენის მომხრენი და საიდუმლო საზოგადოების წევრი სანხოევი საზოგადო საქმისთვის მოქმედებდნენ—მანჯურიის დანასტიის გადასაყენებლად.

## მცირე შენიშვნა

(„საქართველოს ტახტის მემკვიდრეები დავით და იულონ“, „მოამბე“ № IV 1900 წ.)

ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენს ოჯახში, ძველის ბარათების ჩხრეკის დროს, ვიპოვე ორი ხელის თდენა ქაღალდი, ორს ფირფიტას შუა მძამედ შენახული. ერთი ქართულად დაწერილი, მეორე თათრულად, როგორც მგონია. ორივე ბეჭდიანები. ქართული წავიკითხე და აღმოჩნდა საქართველოს ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის ბრძანება ფშაველ ხევის ბერთა მიმართ. თათრულში-კი ჯერაც არ ვიცი, რა სწერია. რაკი ვხედავდი, რომ „მოამბე“ „საქართველოს სიძველეთა“ ბეჭდავდა, ავიღე და ის პატარა ბრძანება გავუგზავნე დასაბეჭდად და მერე ვთხოვდი „ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებისთვის“ გადაეცათ, (თათრულ ხელნაწერსაც ამ საზოგადოებას გადავცემ თავის დროზე) მას შემდეგ ბარემ ორ წელიწადზედ მეტია, მაგრამ არც ის ბრძანება დაიბეჭდა და არც ის ვიცი, მიიღო რედაქციამ იგი, თუ არა. მე ამ გარემოებას ყურადღება აღარ მივაქციე ჯერ იმიტომ, რომ ბრძანების კილო არ მომწონდა და მერე იმიტომ, რომ ვიფიქრე: ალბად ჟურნალის რედაქციამაც იუცხოვა-მეთქი. მაგრამ, ახლა-კი, როცა ზემოხსენებული წერილი დაიბეჭდა, ისტორიის მკვლევართათვის ის პატარა ბრძანებაც უთუოდ საჭირო იქნება, რომელიც, არ ვიცი, ჟურნალის რედაქციაშია, თუ დაიკარგა. თუნდაც დაიკარგოს, მისი შინაარსი ისე ვრცელი არ იყო, რომ კაცს მისი დასხომება გასჭირებოდა და აი, მსურს ამ შენიშვნით მისი შინაარსი აღვადგინო. წერილში „საქართველოს ტახტის მემკვიდრეები დავით და იულონ“ სწერია მე-6 გვერდზედ: „ეშიკაღაბაშს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უბრძანებენ, რომ მართებული კაცი უჩინოს და ფშაველნი ბაგრატს ამსახურონ“: ცოტა ქვემოთ იმავე გვერდზედ სწერია: „გიორგი მეფის რძალი ეკატერინე სთხოვს იმპერატორს პავლეს: რაც ბაგრატი წავიდა, ყველამ დაგვიბრიყვაო (ერისთვიშვილებმა, ფშაველთ).“ შინაარსი ბრძანებისა დაახლოვებით ამ გვარი იყო. „მივუწერ ფშავის ხევის ბერთ, რომ ჩვენა გვნახეთო, აქამდისაც უნდა გენახეთ და, თუ არა გვნახავთ, მაშინ ჩვენ ძალასაც სცნობთო“;

ცხადია, საქართველოს ხალხი ტახტის მოცილეთა დროს ორ ბანაკად ყოფილა გაყოფილი, როგორც „მოამბეში“ დაბეჭდილ წერილიდამაცა სჩანს და ფშაველნი იულონის ბანაკში მოქცეულან.

ფშაველიშვილი

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

7 ოქტომბერი

ივანე და ლევან ბაზარაშვილებისა, რომელთაც შეურაცხების მიყენება ჰბრალდებათ.

ანტონ ქიტუაშვილისა—კაცის დაჩეხა ჰბრალდება.

ერმილე კოჩიაშვილისა—ნამალევად არაყის ხდის ბრალი ედება.

10 ოქტომბერი

ივანე აბაშიძისა და სარდალ ჯამბოტაშვილისა, რომელთაც მკვლელობის ჩადენის განზრახვა ჰბრალდებათ.

იაკობ ნათაძისა—ქურდობის ჩადენა ჰბრალდება.

ივანე კოხტაშვილისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰბრალდება.

სიმონ ბეგოიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰბრალდება.

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ჭყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებათ.



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

გ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—23)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორსო-ცვიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—24)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე